



## მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №19

16 მაისი 2017 წ.

ქ. მარნეული

**„მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ოქტომბრის №31 დადგენილებაში ცვლილების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ.ბ“ პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტის, საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ს 43<sup>1</sup>, 43<sup>2</sup> და 239-ე მუხლის მე-14 ნაწილის, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის და „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

### მუხლის 1.

შევიდეს ცვლილება მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ოქტომბრის „მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ №31 დადგენილების ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge); 010250040.35.159.016163; 22/10/2014წ) დანართი 1-ში:

#### 1. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ის 43<sup>1</sup>, 43<sup>2</sup>, 51<sup>3</sup>, 53<sup>3</sup>, 55, 55<sup>2</sup>, 55<sup>3</sup>, 127<sup>1</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 148-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით, 150, 150<sup>1</sup>, 151-ე მუხლის პირველი და მე-2, 152, 152<sup>2</sup>, 153<sup>4</sup>, 159, 159<sup>1</sup> მუხლით და საქართველოს ორგანული კანონი „საარჩევნო კოდექსი“-ის მე-80 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენისას აღმასრულებელი ორგანო ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ავსებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით აგზავნის განსჯად სასამართლოში.“.

#### 2. მე-5 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „ლ.ტ“ და „ლ.უ“ ქვეპუნქტები:

„ლ.ტ) ტექნიკური რეგლამენტის-საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმების შეუსრულებლობა;

ლ.უ) საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განხორციელება ამ საქმიანობის რეგისტრაციის გარეშე.“.

### მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაბი აბდულაევი